სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

04270583515920

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200961528

რეგისტრაციის თარიღი

25.11.2020 წ

ნოტარიუსი: ქეთევან გრიგოლია
მისამართი: ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 45, მესამე სართული
ტელეფონი: 593 127322

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სანოტარო აქტი
მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცი წლის ოცდახუთ ნოემბერს მე, საქართველოს ნოტარიუს ქეთევან გრიგოლიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. №45, მე-3 სართულზე, მომმართა **ნატალია მახარობლიძემ** (შემდგომში „მიმნდობი“), რომელმაც განაცხადა, რომ არის **შპს „ელისი-2015”-ს** დირექტორი და წარმომიდგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: მომზადების თარიღი: **B20031951, 08/05/2020 15:46:00, ს/ნ 405114816,** გაც. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომლითაც დასტურდება, რომ **ნატალია მახარობლიძე** არის დირექტორი. მან განაცხადა, რომ სურს **ნესტორ ბოკუჩავასთვის** უფლებამოსილების მინიჭება, შესაბამისი მინდობილობის შედგენა და მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა მოქ. **ნატალია მახარობლიძემ** (დაბ. 03.11.1982 წ. დაბადების ადგილი: საჩხერე, პირადობის მოწმობის №13IM36580, პირადი №62001009203, გაც. 09.06.2015 წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, რეგისტრირებული: სოხუმი, ე. ეშბას III შეს. №16, პირადი განცხადებით მცხ. თბილისი, იუმაშევის ქ. №5).

მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევამოწმე მისი უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა და გადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

მე, ნოტარიუსმა ქეთევან გრიგოლიამ, შევადგინე მინდობილობა, წაეუკითხე, განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

ნატალია მახარობლიძემ, როგორც **შპს „ელისი-2015”-ს** (ს/ნ 405114816) დირექტორმა, შემდგომში **„მიმნდობი“** წინამდებარე მინდობილობით **ნესტორ ბოკუჩავას** (დაბ. 09.01.1987 წ. პირადი №62004022648), შემდგომში „მინდობილი პირი“, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. **„მინდობილი პირი“** უფლებამოსილია უძრავ ქონებასთან მდებარე: **ქალაქი თბილისი, ქუჩა ჩუბინიძე, №7, ს/კ №01.17.01.050.007** დაკავშირებით იყოს **„მიმნდობი”-ს** წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ორგანოებში, მერიაში და მის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა სსიპ-ში, სამსახურებში, საკრებულოში, გამგეობაში, არქიტექტურის სამსახურში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, განახორციელოს საქმის წარმოება, გააკეთოს აზომვითი ნახაზი, ფოტომონტაჟი, წარადგინოს **„მიმნდობი”-ს** სახელით განცხადებები, პროექტი, გამოითხოვოს, მიიღოს ნებისმიერი საბუთი, ნებართვა, პროექტი, გეგმა, გადაიხადოს გადასახადები, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთებს **„მიმნდობი”-ს** სახელით და შეასრულოს ყველა მოქმედება და ფორმალობა ამ დავალების შესასრულებლად.
2. მინდობილობა ძალაშია ორი ათას ოცდაერთი წლის ოცდახუთი მაისის ჩათვლით.
3. „მინდობილ პირს“ უფლება არა აქვს ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებები გადასცეს სხვა პირებს.
4. **„მიმნდობი“** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ეს მინდობილობა, რისთვისაც საჭიროა მინდობილობის სანოტარო წესით გაუქმება. გაუქმების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე **„მინდობილი პირი“** ვალდებულია დაუყონებლივ შეწყვიტოს მინდობილობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედების შესრულება და ამ მინდობილობის მის ხელთარსებული ყველა ეგზემპლარი დაუბრუნოს **„მიმნდობს“**.
5. ეს მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუსის ქეთევან გრიგოლიას სანოტარო საქმეებში, ხოლო ორი გადაეცა „მიმნდობს“.
6. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში, თან ერთვის დანართი 1 (ერთი) საბუთი:

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, გაც. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.

7. ნოტარიუსის საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსხურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 10 (ათი) ლარი - მუხლი 31.7 + დღგ 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი - თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა + 2 (ორი) ლარი სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეგისტრაციის საფასური – მუხლი 39.1, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილებისა, სულ 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

„მიმნდობი“ _____ შპს „ელისი-2015”
დირექტორი ნატალია მახარობლიძე

ნოტარიუსი: ქეთევან გრიგოლია

